საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

გვინდა დავადასტუროთ ჩვენი ერთგულება თანამიმდევრული, ინკლუზიური პროცესის მიმართ, რომელიც ევროკავშირის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების აუცილებელ ჩართულობას მოითხოვს.

ამავე დროს, გვინდა გამოვხატოთ შეშფოთება პოლიტიკური პოლარიზაციის მაღალ ხარისხთან დაკავშირებეით, რისი არაერთი მანიფესტაცია ვიხილეთ ბოლო პერიოდში. განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ სამოქალაქო საზოგადოების მიმართ გამოთქმული პოზიციები, რომ თითქოს ისინი არიან გავლენის აგენტები და მეხუთე კოლონის წარმომადგენლები.
ასეთი რიტორიკა ქმნის განცდას, რომ, მაღალი ალბათობით, მოსალოდნელია რეპრესიები, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების წინააღმდეგ. ამგვარი განწყობა აყალიბებს სამოქალაქო დაპირისპირების მოლოდინს, რაც სერიოზულად ართულებს ევროინტეგრაციის ამოცანებს.

ამ ბრალდებების თუ სხვადასხვა აქტორების მიერ მაღალი ტრიბუნებიდან გამოთქმული ევროინტეგრაციისა და დემოკრატიული გარემოსთვის დამაზიანებელი პოზიციების მიუხედავად, გამოვხატავთ მზადყოფნას მივიღოთ მონაწილეობა არსებულ, ლეგიტიმურ საპარლამენტო ფორმატებში 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად. მით უფრო მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტს ვენეციის კომისიამ გამოუგზავნა შენიშვნები და რეკომენდაციები სასამართლო სისტემის რეფორმისა და დეოლიგარქიზაციის შესახებ შემუშავებულ კანონპროექტებზე, რომელთა შესრულებაზეც პირდაპირ არის დამოკიდებული საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება.